ემოციური გადაწვის და სტრესის დაძლევის სტრატეგიების კვლევა საბავშვო ბაღის აღმზრელებში

ნატალია საიაპინა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარინე ჯაფარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება საბავშვო ბაღის აღმზრდელებში ემოციური გადაწვასა და მათ მიერ გამოყენებული სტრესის დაძლევის სტრატეგიების კვლევას. აღნიშნული საკითხის შესწავლა და გადაწვის პრევენცია განათლების დარგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან იგი დაკავშირებულია აღმზრდელთა და აღსაზრდელების კეთილდღეობასა და ჯანმრთელობასთან, სწავლებისა და განვითარების ხარისხსა და აღმზრდელის აღსაზრდელებისადმი დამოკიდებულებასთან.

კვლევაში გამოყენებული იქნა თვისებრივი (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ) და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

ემოციური გადაწვის ხარისხი აღმზრდელებში გამოკვლეული იქნა ბ. ბოიკოს ადაპტირებული კითხვარის მოკლე ვარიანტის მეშვეობით, კოპინგის (დაძლევის) სტრატეგიები ვიკვლიეთ ინგლისელი ფსიქოლოგის დ. როჯერის ტესტით. ასევე გამოყენებული იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. გამოიკითხა ქ. თბილისის 5 ბაგა-ბაღის 50 აღმზრდელი.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა რიგი ფაქტორებისა, რომელიც აღმზრდელთა აზრით, ართულებს მათ ეფექტიან მუშაობას, კერძოდ:

- ჯგუფები გადატვირთულია (36-დან 49-მდე ბავშვი თითოეულში);
- უმეტეს ჯგუფში არის, 1 ს.ს.მ. (სპეციალური საჭიროებების მქონე) აღსაზრდელი და ბავშვების სიმრავლის გამო აღმზრდელი სრულად ვერ ახერხებს მასთან ინდივიდუალური მუშაობის წარმოებას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა:

- აღმზრდელებში ყველაზე ხშირად შეინიშნება გადაწვის მცირე ნიშნები 52%, 34% -ს გადაწვის ნიშნები არ აქვთ; 7% გადაწვის რისკის წინაშე არიან. რაც შეეხება მძიმე და უმძიმესი გადაწვის ნიშნებს, აღმზრდელებში საერთოდ არ გამოვლინდა;

- სტრესის დაძლევისთვის აღმზრდელები ყველაზე ხშირად იყენებენ რაციონალურ კოპინგ სტრატეგიას;
- ემოციურ გადაწვასა და სტრესის დაძლევის სტრატეგიების გამოყენებას შორის კორელაცია ჩვენს კვლევაში არ დადასტურდა;
- დამხმარე კადრის (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც. პედაგოგი) არსებობა/არ არსებობა არ ცვლის აღმზრდელების გადაწვის ხარისხს და გამოყენებულ კოპინგ სტრატეგიას.

საბავშვო ბაღის აღმზრდელთა ემოციური გადაწვის კვლევა პირველად ჩატარდა საქართველოს აღმზრდელების კორპუსზე. ვფიქრობთ, კვლევის შედეგები და რეკომენდაციები გამოსადეგი და ღირებული იქნება განათლების პოლიტიკის შემმუშავებლებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის, აღმზრდელებისთვის, ბაღის ადმინისტრაციისთვის, რათა შეამცირონ და/ან პრევენციული ზომები მიიღონ აღმზრდელთა ემოციური გადაწვის თავიდან ასაცილებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ემოციური გადაწვა, კოპინგ სტრატეგიები, ს.ს.მ. ბავშვი.